მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №2

ქ. მარტვილი 19 თებერვალი, 2024 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე, დამთავრდა 15:00 სთ-ზე

რეგისტრაცია გაიარა: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, გიორგი ხორავა, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ვახტანგ კეკელია, ნათია ქაჯაია, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია, მაგდა შირავა და ზაზა ფრანგიშვილი.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 30-მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ, ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირები (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები), საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავა

მ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 28, წინააღმდეგი 1. თავი შეიკავა 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2024 წლის 19 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 თებერვლის, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 თებერვლის განკარგულება №03 სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი - ლევან სურმავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე/
2. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე

ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი - ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/

3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“-თვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ოქტომბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსების) ანგარიშის შეფასება 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
/მომხსენებელი - ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
5. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ გურძემის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ: 41.17.32.493 არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/
6. სხვადასხვა.

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30-მა წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/ ნუგზარ ცანავას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენიანებელი მწვანე ნარგავების სახეობების სია და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანა გამოწვეულია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანიდან გამომდინარე,

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დასაკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე გრიგალავამ აღნიშნა, რომ ის მხარს უჭერს შესაბამის ცვლილებას.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 28. წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 2.

დაადგინეს: დამტკიცდეს, ,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 თებერვლის დადგენილება №2 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30-მა წევრმა.

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“-თვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ოქტომბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და აღნიშნა, რომ აღნიშნული იურიდიული სამსახური უფასო კონსულტაციებს გასცემს მოქალაქეებზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 26. წინააღმდეგი 1. თავი შეიკავა 3.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“-თვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ოქტომბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“-თვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ოქტომბრის №43 განკარგულებაში ცვლილების

შეტანის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 თებერვლის განკარგულება №04 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29-წევრმა.

მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფროსის, ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსების) ანგარიშის შეფასება 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;

საკრებულის წევრების წინაშე მოხსენებით წარდგნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირები (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები-სამსახურის უფროსები), რომლებმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინეს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერეულების ხელმძღვანელებმა, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 22, წინააღმდეგი 1. თავი შეიკავა 4.

დაადგინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, კერძოდ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, კერძოდ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ დადებითად შეფასების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 თებერვლის განკარგულება №04 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-5 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა.

მოისმინეს 5. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ გურძემის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ: 41.17.32.493 არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და შესაბამისი განკარგულების პროექტი, ასევე განმარტა, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 12 თებერვალის №5/7480 წერილით მუნიციპალიტეტს ეთხოვა განხილულიყო საკითხი, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. გურძემის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ს.კ 41.17.32.493 ნაკვეთის, სახელმწიფოსთვის, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 27, წინააღმდეგი 1. თავი შეიკავა 1.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს მარტვილის ,,მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ გურძემის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ: 41.17.32.493 არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ გურძემის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ: 41.17.32.493 არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 თებერვლის განკარგულება №06 სხდომის ოქმს თან ერთვის./

სხდომის დასასრულს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული, პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიის 2023 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ანგარიში (ანგარიში სხდომის ოქმს თან ერთვის), რომელიც საკრებულომ მიიღო ცნობად.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა